დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

სოფ. ძირკოკი 16 სექტემბერი 2019 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძნებით შექმნილმა კომისიის წევრებმა მოვახდინეთ მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ნიუ ლეველ-ს" შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება #244-ით გათვალისწინებული გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშოების დათვალიერება. დათვალიერებით დადგინდა, რომ სამუშაოები დაწყებული არ არის. შპს ,,ნიუ ლეველ-ის" დირექტორთან ეკატერინე ტაბატაძესთან ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონზე +955322120100 არა ერთი მცდელობისა დაკაცშირება ვერ მოხერხდა.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ: გ. ყვირალაშვილი

ნ. ქაჩლიშვილი

გ. ალხაზაშვილი

დათვალიერების აქტი

სოფ. ძირკოკი 23 სექტემბერი 2019 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძნებით შექმნილმა კომისიის წევრებმა მოვახდინეთ მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ნიუ ლეველ-ს" შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება #244-ით გათვალისწინებული გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშოების დათვალიერება. დათვალიერებით დადგინდა, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან გასულია 12 დღე და სამუშაოები დაწყებული არ არის. შპს ,,ნიუ ლეველ-ის" დირექტორთან ეკატერინე ტაბატაძესთან ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონზე +955322120100 არა ერთი მცდელობისა დაკავშირება ვერ ხერხდება.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

გ. ყვირალაშვილი

ნ. ქაჩლიშვილი

გ. ალხაზაშვილი

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. გურჯაანი 27 სექტემბერი 2019 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე მომსახურებისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ იმსჯელა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ნიუ ლეველ-ს" შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული #244 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სოფელ ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შესახებ.

ხელშეკრულების თანახმად სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, თუმცა დღეის მდგომარეობით სამუშოები დაწყებული არ არის. (დათვალიერების აქტები 16.09.2019 წ. 23.09.2019 წ.)

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ვინაიდან დარღვეულია ხელსეკროლების მე-3 მუხლის მოთხოვნები, შპს ,,ნიუ ლეველი-ს"" მიმართ გამოყენებული იქნას ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები (,,მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით"). აღნიშნული მუხლის შესაბამისად შპს ,,ნიუ ლეველ-ს" 2019 წლის 11 სექტემბრიდან დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების (10 929 ლარი და 75 თეთრი) 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და პირგასამტეხლომ დღეში 10 (ათი) ლარი და 92 (ოთხმოცდათორმეტი) თეთრი შეადგინა.

კომისიის თავმჯდომარე: ს. ქოჩორაშვილი

წევრები: ვლ. მუსალბიშვილი

კ. ზერიძიშვილი

ნ. გონგაძე

რ. ქიტიაშვილი

ზ. მაისურაძე

ვ. კირვალიძე

გ. ყვირალაშვილი

ნ. ქაჩლიშვილი

გ. ალხაზაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია

City Hall of Gurjaani Municipality

ქ.გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. #13/Gurjaani, Noneshvili St.#13 ინდექსი / Index : 1500 ტელ / Tel: (0353 220004)
საიდენტ. კოდი / Cap. Code: 227765022 ელ.ფოსტა/ Email: gurjaanisraioni@gmail.com

KA000024548175219

№ 8435-გ

30 / სექტემბერი / 2019 წ.

ადიგენის რაიონი, სოფ. ქვემო ენთელი
შპს „ნიუ ლეველის" დირექტორს
ეკატერინე ტაბატაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 11 სექტემბრის გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ნიუ ლეველს" შორის გაფორმებული #244 ხელშეკრულების თანახმად თქვენ გევალებათ სოფ. ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების შესრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად სამუშაოები უნდა დაგეწყოთ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, სოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით ვალდებულება გაქვთ განახორციელოთ სამუშაოები ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

ობიექტის დათვალიერებისას გამოირკვა, რომ სამუშაოები არ დაწყებულა და დარღვეულია არსებული გეგმა-გრაფიკი. გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის(„მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით") მოთხოვნების თანახმად 2019 წლის 11 სექტემბრიდან დაგეკისრათ პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების(10 929 ლარი და 75 თეთრი)0,1-ის ოდენობით, რაც დღეში შეადგენს 10 (ათი) ლარს და 92(ოთმოცდათორმეტი) თეთრს. პირგასამტეხლოს ვადა შეჩერდება შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა #2-ის წარმოდგენის შემდეგ. აქვე შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ" პუნქტის თანახმად შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ „მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშკრულების ღირებულების 2%-ს."

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი

არჩილ ხანდამაშვილი

დათვალიერების აქტი

სოფ. ძირკოკი 09 ოქტომბერი 2019 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძნებით შექმნილმა კომისიის წევრებმა მოვახდინეთ მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ნიუ ლეველ-ს" შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება #244-ით გათვალისწინებული გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშოების დათვალიერება. დათვალიერებით დადგინდა, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან გასულია ერთი თვე, სამუშაოების მიწოდების ვადა იწურება 10 ოქტომბერს და სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა. შპს ,,ნიუ ლეველ-ის" დირექტორთან ეკატერინე ტაბატაძესთან ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონზე +955322120100 არა ერთი მცდელობისა დაკავშირება ვერ ხერხდება.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

გ. ყვირალაშვილი

ნ. ქაჩლიშვილი

გ. ალხაზაშვილი

დასკვნა

ქ. გურჯაანი 15 ოქტომბერი 2019 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე მომსახურებისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ იმსჯელა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ნიუ ლეველ-ს" შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული #244 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სოფელ ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების მიწოდების ვადის დასრულების შესახებ.

ხელშეკრულების თანახმად სამუშაოები უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში და დამთავრებულიყო 10 ოქტომბერს, თუმცა სამუშოები საერტოდ არ დაწყებულა. (დათვალიერების აქტები 16.09.2019 წ. 23.09.2019 წ. 09.10.2019 წ.) 2019 წლის 27 სექტემბერს ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შპს ,,ნიუ ლეველს" 11 სექტემბრიდან დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 10 (ათი) ლარი და 92 თეთრი, რაზედაც ეცნობა წერილობით (30.09.2019 წ. #8435-გ). ამავე წერილობით გაფრთხილებული იქნა ხელშეკრულების მოსალოდნელ შეწყვეტაზე.

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ვინაიდან დარღვეულია #244 -ე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მოთხოვნები, შპს ,,ნიუ ლეველი-ს"" მიმართ გამოყენებული იქნას ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები და შეწყდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რაზედაც წერილობით ეცნობოს მხარეს. პირგასამტეხლოს საერთო თანხამ შეადგინა 294 (ორასოთხმოცდათოთხმეტი) ლარი და 84 თეთრი.

კომისიის თავმჯდომარე: ს. ქოჩორაშვილი

წევრები: ვლ. მუსალბიშვილი

ვ. ბერიძიშვილი

ნ. გონგაძე

რ. ქიტიაშვილი

ზ. მაისურაძე

ვ. კირვალიძე

გ. ყვირალაშვილი

ნ. ქაჩლიშვილი

გ. ალხაზაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია

City Hall of Gurjaani Municipality

ქ.გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. #13/Gurjaani, Noneshvili St.#13 ინდექსი / Index : 1500 ტელ / Tel: (0353 229004)
საიდენტ. კოდი / Cap. Code: 227765022 ელ.ფოსტა/ Email: gurjaanisraioni@gmail.com

KA000065748138019

№ 8959-გ

17 / ოქტომბერი / 2019 წ.

ადიგენის რაიონი, სოფ. ქვემო ენთელი
შპს ,,ნიუ ლეველის" დირექტორს
ეკატერინე ტაბატაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

ჩვენს მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს გამოგზავნილი #8435-გ წერილით გაცნობეთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ნიუ ლეველს" შორის მ/წლის 11 სექტემბერს გაფორმებული #244 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო 2019 წლის 13 სექტემბრიდან დაგეკისრათ პირგასამტეხლოს გადახდა და მისმა ოდენობამ დღეში 10 (ათი) ლარი და 92(ოთხმოცდათორმეტი) თეთრი შეადგინა. ამასთან ერთად გაგაფრთხილეთ აღნიშნული ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ. წერილს თქვენი მხრიდან რეაგირება არ მოყოლია და მ/წლის 10 ოქტომბერს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ბოლო ვადა დასრულდა ისე, რომ თქვენს მიერ სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა. ვინაიდან დარღვეულია ხელშეკრულების მე-3 მუხლის მოთხოვნები, ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 30.09.2019 წლის #244 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამურ ოდენობას, გადახდის ვადას და რეკვიზიტებს, შემდგომში გაცნობებთ წერილობით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

არჩილ ხანდამაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

KA000068024449619

№ 2246 22 / ოქტომბერი / 2019 წ. ქ. გურჯაანი

შპს „ნიუ ლეველსა“ და გურჯაანის მუნიციპალიტეტს შორის დადებული №244 ხელშეკრულების შეწყვეტისა და შპს „ნიუ ლეველის“ შავ სიაში შეყვანის მიზნით ღონისძიებების გატარების შესახებ

გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნიუ ლეველს“ (ს/ნ 422736588) შორის 2019 წლის 11 სექტემბერს გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 244 (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2019 წლის 5 სექტემბრის N3711 განკარგულების SMP190003521 საფუძველზე), რომელის საგანს წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 10929,75 ლარს.

სამუშაოს მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე, 2019 წლის 11 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.3 პუნქტის თანახმად მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, საუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით წარდგენილი, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

ხელშეკრულები გაფორმების შემდეგ, სამუშაოების კონტროლის მიზნით, ადგილზე დათვალიერება ხორციელდებოდა სისტემატიურად, რაც დასტურდება შესაბამისი აქტებით. აქტები შედგენილია 16 სექტემბერს, 23 სექტემბერს, 27 სექტემბერს. შედეგად დადგინდა, რომ შპს „ნიუ ლეველის“ მიერ სამუშაოები არ იყო დაწყებული, ხოლო შპს-ს დირექტორთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა ჩვენთვის ცნობილ ტელეფონის ნომერზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 30 სექტემბერს შპს „ნიუ ლეველს“ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება #8435 და განემარტა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსა და ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ.

შეტყობინების გაგზავნის შემდგომ კვლავ ხორცილედებოდა კონტროლი ადგილზე დათვალიერების გზით, რათა დადგენილიყო, დაიწყო თუ არა სამუშაოების წაროება, თუმცა ადგილზე დათვალიერების 9 ოქტომბრის აქტიდან ირკვევა, რომ სამუშაოები კვლავ არ დაწყებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან 10 ოქტომბერს ამოიწურა სამუშაოების მიწოდების ვადა, დარღვეულია № 244 ხელშეკრულების პირობები, კერძოდ N244 ხელშეკრულების მე-3 მუხლის, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "ა"- „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები, შპს „ნიუ ლეველმა“ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები და სახეზეა N244 ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურეობისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით, მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შპს „ნიუ ლეველს“ უნდა შეუწყდეს ხელშეკრულება და დაეკისროს პირგასამტეხლო. 17 ოქტომბერს შპს „ნიუ

ლეველს“ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება #8959 მასზედ, რომ ვადამდე შეწყდებოდა #244 ხელშეკრულება და დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, არსებობს შპს „ნიუ ლეველის“ არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავ სიაში) შეყვანის საფუძველი. “შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგანტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურეობისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 15 ოქტომრის დასკვნის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეწყვეტილი იქნას ვადამდე 2019 წლის 22 ოქტომბრიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და შპს „ნიუ ლეველს“ შორის 2019 წლის 11 სექტემბერს დადებული N244 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

2. დაევალოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურს, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, შპს „ნიუ ლეველის“ (ს/ნ 422736588) არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავ სიაში) შეყვანის მიზნით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24);

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

არჩილ ხანდამაშვილი